საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0C223270 "29" 06 2022

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 72.16.18.454 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს მირაქსი ს/ნ 400157879) დაზუსტებული ფართობი: 621.00 კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი #AR1898486 განაცხადის შესაბამისად მოხდეს პროექტის შეთანხმება და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

გიორგი წეროძე

კორპორაციული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N 5211745
25.03.2022.

შპს „მირაქსის" დირექტორის მინდობილ პირს,
ბატონ თამაზ ქოქოსაძეს

(ტელ.: 595 292225
ელ. ფოსტა: tamaz.qoqosadze@gmail.com)

ბატონო თამაზ,

თქვენი 2022 წლის 28 თებერვლის N8881145 განცხადების პასუხად, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.16.18.454; 72.16.18.453) ერთბინიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთს (ს/კ: 72.16.18.454) კვეთს ქვესადგურ „ნუცუბიძის პლატო"-დან გამომავალი, სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" კუთვნილი 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ფიდერი „N16".

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები"–ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონად ხაზის ორივე მხარეს განაპირა სადენებიდან დადგენილია 10 მეტრი. მე-4 მუხლის პირველი ნაწილით აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, კერძოდ: ა) ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში შენობა-ნაგებობის, ხიდების, კოლექტორების, გვირაბების, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის რეკონსტრუქცია, ან/და მშენებლობა ელექტროგადამცემი ხაზის დამცავი ღონისძიებების გატარების ან მისი წინასწარი გადატანის გარეშე. ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად; ბ) ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ მანქანა-მექანიზმების გავლა, რომელთა საერთო სიმაღლე გზის საფარიდან ტვირთით და/ან ტვირთის გარეშე აღემატება 4.5 მეტრს; ე) ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის); ი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში ჭავლსატყორცნი სარწყავი სისტემის მოწყობა, ასევე სარწყავების მოწყობა გაშხეფების გზით; კ) ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონასა და მის სიახლოვეს ნებისმიერი სახის ნაგავსაყრელის მოწყობა; ლ) ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონაში ნამჯის, ჩალის და თივის ზვინების, ტორფის და შეშის საწყობების მოწყობა, ნებისმიერი დანიშნულებით კოცონის დანთება; მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით კი ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონასა და განაკაფებში ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია: ა) ნებისმიერი სახის სამშენებლო, სამონტაჟო, სარეკონსტრუქციო და ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოება; გ)

მცენარეების, ხეების დარგვა, ღობეების, ცხოველების სადგომების, საკვებისა და სასუქების საწყობების მოწყობა და სხვ.; დ) ავტოტრანსპორტის და სხვა მანქანა-მექანიზმების სადგომების და გადასასვლელი გზების მოწყობა, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ არაგაბარიტული ტვირთების გატარება;

ელექტროდანადგართა მოწყობის წესების მე-6 გამოცემის 2.5.115 მუხლით, სადენების მაქსიმალური გადახრის მდგომარეობაში მყოფი 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის განაპირა სადენებიდან ჰორიზონტალურად, შენობა-ნაგებობის უკიდურესად გამოშვერილ წერტილამდე დასაშვები მინიმალური მიახლოების მანძილი შეადგენს არანაკლებ 2 მეტრს. ამასთან, ამავე წესების 2.5.22 ცხრილით, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის სადენებსა და მიწის ზედაპირს შორის მინიმალური ვერტიკალური დაშორება დასახლებულ პუნქტებში შეადგენს არანაკლებ 7 მეტრს. ამიტომ, თვითნებურად, კომპანიის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია სადენებსა და მიწის ზედაპირს შორის ვერტიკალური გაბარიტის შემცირება მიწაყრილით, მოხრეშვით, მობეტონებით და ა.შ.

აქედან გამომდინარე, კომპანია არ არის წინააღმდეგი მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.16.18.454; 72.16.18.453) მშენებლობა, კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების მაქსიმალურად გადახრილ მდგომარეობაში მყოფი უახლოესი განაპირა სადენიდან არანაკლებ 2 მეტრის დაშორებით და ზემოაღნიშნული სხვა მოთხოვნების დაცვით. აგრეთვე, გთხოვთ წარმოადგინოთ გენგეგმა, სადაც მოცემული იქნება უახლოეს განაპირა სადენებსა და საპროექტო ობიექტს შორის დაშორება.

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შემსრ.: ალიკა ჭაფანძე
(ტელ.: 577 35 82 10)